შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/79

თბილისი " 17 " დეკემბერი 2020 წ.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე მუხლების, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 43-ე და 46-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის 5.6. და 5.7. პუნქტების, „აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესის" მე-5 მუხლის პირველი; მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის წარდგინებისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის წარდგინების, სამართლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2020 წლის 09 დეკემბრის ოქმი N13-ის ამონაწერის და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2020 წლის 09 დეკემბრის ოქმი #10 ამონაწერის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2020 წლის 17 დეკემბერს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პროფესორის 6 (ექვსი) წლის; ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) წლის და ასისტენტის 3 (სამი) წლის ვადით დასაკავებლად.

2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2021 წლის 01 თებერვლიდან 2021 წლის 12 თებერვლის ჩათვლით. ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 15 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2021 წლის 18 თებერვალი (ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი) და 19 თებერვალი (სამართლის ფაკულტეტი). საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო

კომისიაში შედეგების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (22, 23, 24 თებერვალი) . კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2021 წლის 25 თებერვალი.

3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 10 აკადემიური პერსონალი - 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი.

სამართლის ფაკულტეტი

მიმართულება - სამართალი
დარგი/სპეციალობა - კერძო სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართლის პროცესი
ვაკანტური ადგილი - ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

მიმართულება - სამართალი
დარგი/სპეციალობა - კერძო სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი
ვაკანტური ადგილი - ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული

მიმართულება - სამართალი
დარგი/სპეციალობა - სისხლის სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია - სისხლის სამართლის მატერიალური ნაწილი
ვაკანტური ადგილი - პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

მიმართულება - ბიზნესის ადმინისტრირება და სამართალი
დარგი/სპეციალობა - ბიზნესის ადმინისტრირება
ქვედარგი/სპეციაალიზაცია - მენეჯმენტი
ვაკანტური ადგილი - ასოცირებული პროფესორი -1 საშტატო ერთეული

მიმართულება - სოციალური და ქცევითი მეცნიერებები
დარგი/სპეციალობა - ეკონომიკა

ვაკანტური ადგილი - პროფესორი -1 საშტატო ერთეული
ასისტენტი - 1 საშტატო ერთეული

მიმართულება - მათემატიკა და სტატისტიკა
დარგი/სპეციალობა - სტატისტიკა
ვაკანტური ადგილი - ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

მიმართულება - პერსონალური მომსახურებები
დარგი/სპეციალობა - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
ქვედარგი/სპეციაალიზაცია - ტურიზმი
ვაკანტური ადგილი - პროფესორი -1 საშტატო ერთეული

6 (ექვსი) წლის ვადით პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ან/და სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე, Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კონცეფცია (აღწერა), რომლის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილიც აქვს კონკურსანტს (3-4 გვერდზე Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში; საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო–პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- მოტივაცია, დასაბუთება ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე, Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს. აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მოტივაცია, დასაბუთება ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომების სია.
- უცხო ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:
   - განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
   - ავტობიოგრაფია (CV)
   - საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
   - ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
   - ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.

6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.

7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის

აღმასრულებელი დირექტორი
ელისო ელისაშვილი